



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ისლურა

ისლურა (Luzula), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეების გვარი ჭილისებრთა ოჯახისა. ღერო შეფოთლილია ბრტყელი, ხაზურლანცეტა კიდეებწვიანი ფოთლებით. ნაყოფი ერთბუდიანი და სამთესლიანი კოლოფია. ი-ს 80 სახეობა მეტწილად გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ და ცივ სარტყელში.

საქართველოში გვხვდება 8 სახეობა, იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლის ტყეებში. ხშირად გვხვდება სუბალპურ და ალპურ მდელოებზე, ალპურ ხალებზე, ქვიან და კლდოვან ფერდობებზე. ი. არსად არ ქმნის დამოუკიდებელ ცენოზებს.
